დავით თინიკაშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი

საეკლესიო სქიზმის დაძლევა: იძულება, მოლაპარაკება და გაერთიანების პოლიტიკა ბიზანტიაში

აბსტრაქტი

სტატია აანალიზებს ქრისტიანული ეკლესიის მიერ, განსაკუთრებით ბიზანტიური ტრადიციის ფარგლებში, ისტორიულად გამოყენებულ ძირითად მიდგომებს საეკლესიო განხეთქილების დასაძლევად. გამოიყოფა ორი ძირითადი მეთოდი: იძულება და მოლაპარაკება. იძულება, რომელიც ხშირად იმპერიული ხელისუფლების მეშვეობით ხორციელდებოდა, მართლდებოდა დომინანტური ეკლესიის განმტკიცების თეოლოგიური მოსაზრებებით და იმპერიაში სოციალური და პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობით. დამოწმებული მაგალითები მოიცავს დონატისტების, მონოფიზიტებისა და სხვათა რეპრესიებს. აღინიშნება, რომ პატრიარქები ღიად უჭერდნენ მხარს იმპერატორებს განსხვავებული რელიგიური შეხედულებების მქონე პირთა დევნის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ლიდერები, როგორიცაა ნეტარი ავგუსტინე, საბოლოოდ უჭერდნენ მხარს იძულებას, როგორც გამოსასწორებელ ზომას, ეკლესიის ზოგიერთმა მამამ, მათ შორის წმინდა ამბროსი მედიოლელმა და წმინდა იოანე ოქროპირმა, ძალადობა ქრისტიანულ დოქტრინასთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს, რის გამოც თავად იმპერატორებთანაც შედიოდნენ ღია კონფლიქტში.

გაერთიანების მცდელობისას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ასევე და განხილვასა და მოლაპარაკებას იმ სადაო საკითხებზე, რაც ეკლესიებს ერთმანეთისგან ჰყოფდა. ამ მიზნით, შეხვედრები მიმდინარეობდა საეკლესიო კრებებზე, იმპერიის შუამავლობით გამართულ დისკუსიებსა და ორმხრივ თეოლოგიურ საუბრებში. ქრისტოლოგიის, პაპის უზენაესობისა და ლიტურგიკული პრაქტიკის შესახებ თეოლოგიური დებატები ზოგჯერ პოლიტიკურ დღის წესრიგთან იყო გადაჯაჭვული, რაც ლიონის (1274) და ფლორენციის (1439) უნიებში გამოიხატა, რომლებიც ძირითადად ბიზანტიის მიერ დასავლური დახმარების თხოვნით იყო მოტივირებული. ასეთი შეთანხმებები მხოლოდ მაშინ შენარჩუნდა, როდესაც ისინი ფართოდ იქნა მიღებული როგორც სასულიერო პირებში, ასევე ხალხში და როდესაც ისინი დოქტრინალურ და ლიტურგიკულ მოქნილობას იძლეოდნენ. სტატია ხაზს უსვამს თეოლოგიას, პოლიტიკასა და კულტურას შორის მრავალწახნაგოვან ურთიერთკავშირს, რომელიც ზემოქმედებს საეკლესიო განხეთქილების მოგვარების მცდელობებზე.

საკვანძო სიტყვები: *საეკლესიო განხეთქილება, იძულება, მოლაპარაკება, ბიზანტიური ტრადიცია, თეოლოგია და პოლიტიკა*

საეკლესიო სქიზმებზე საუბრისას თავდაპირველი გასარკვევი საკითხი უკავშირდება იმას, თუ ვინ ვისგან გადის განხეთქილებაში ანუ ვინ შორდება ტრადიციულ საეკლესიო საკრებულოს. მაგრამ რას ნიშნავს ტრადიციული და რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ტრადიცია ორთოდოქსულად და მართებულად, ეს ბიბლიურ დოქტრინალურ იდეებთან ყველაზე ლოგიკური შესაბამისობით განისაზღვრებოდა. ამ გაგებით, ტენდენციური მოძღვრების შემქმნელი რელიგიური ჯგუფი, რომელიც უწყვეტი სამოციქულო ხელდასხმის მქონე საეპისკოპოსო იერარქიას გამოეყოფოდა, ითვლებოდა „სქიზმაში გასულად. დანარჩენი ნაწილი კი ეკლესიად“[1] ანუ საეკლესიო ტრადიციის კანონიერ გამგრძელებლად. ამის შემდეგ ცხადდებოდა ოფიციალური გამიჯვნა ანუ განკვეთა, ექსკომუნიკაცია. თავის მხრივ, განკვეთილი საკრებულოც ოფიციალურად ემიჯნებოდა და ანათემას გადასცემდა მეორე მხარეს, რომელსაც ასევე ერეტიკულად მიიჩნევდა.

იძულების მეთოდი

საეკლესიო სქიზმების აღმოფხვრისა თუ დაძლევის გზაზე, პირველ რიგში, სახსენებელია იძულების მეთოდი, რომელსაც საერო და საეკლესიო ხელისუფლებები მიმართავდნენ. საერო ხელისუფალი ამას იმპერიის დომინანტი რელიგიური ინსტიტუტის მხარდასაჭერად აკეთებდა. რატომ? სქიზმების კლასიკოსი მკვლევარი, სტენლი გრინსლეიდი აღნიშნავს, ამას განაპირობებდა იმპერატორთა პირადი ღრმა რწმენა, რომ აუცილებელია ღვთის სწორი თაყვანისცემა იმისათვის, რომ იმპერიას ღვთის წყალობა ჰქონოდა[2]. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა წმინდად პოლიტიკურ განზომილებასაც, კერძოდ, იმპერიის შიდა პოლიტიკურ და სოციალურ სიმშვიდეს (Pax Romana), რაც რელიგიური დაპირისპირებებით გამოწვეული დიდი მღელვარებებით ირღვეოდა. საეკლესიო ხელისუფლების მიზანი კი ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა იყო.

ისტორიულად საერო ხელისუფლების მხრიდან ერთ-ერთი ამგვარი იძულების მაგალითი ჯერ კიდევ 268 წელს ფიქსირდება, როდესაც ანტიოქიის კათედრიდან გადაყენების შემდეგ, პავლე სამოსატელმა უარი განაცხადა ტაძრის დათმობაზე, მაგრამ საიმპერატორო ხელისუფლებამ ის ძალით ჩამოართვა[3]. სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული პირველი ჯგუფური დევნა კი ქრისტიანი ერეტიკოსების, დონატისტების წინააღმდეგ მაშინ დაიწყო, როცა სამხედრო პირებმა ძალა გამოიყენეს, რასაც ზოგიერთი დონატისტის სიცოცხლეც შეეწირა. იმპერატორმა კონსტანტინემ 315 ან 316 წლებში (ედიქტის გამოცემამდე) აფრიკაში ვიზიტისას განაცხადა, რომ უფლებამოსილი იყო მორწმუნეებისთვის ეჩვენებინა თუ როგორია ღვთის სწორი თაყვანისცემა. ამგვარად, მოლაპარაკე იმპერატორს აშკარად არ შეეძლო ერთმანეთისგან გაემიჯნა საერო და საეკლესიო სფეროები.

დონატისტების დევნა დროებით დასრულდა, მაგრამ ის არ დასრულებულა ეკლესიის მოთხოვნით, რადგან ეს უკანასკნელი არათუ არ აპროტესტებდა, არამედ მიესალმებოდა კიდეც იმპერატორის მიერ ერეტიკოსების წინააღმდეგ რეპრესიებს.

---

[1] Stanley Greenslade. *Schism in the Early Church*. (London: SCM Press, 1953), 127.

[2] Greenslade, *Schism,* 142.

[3] ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია,* წიგნი VII, თავი XXX. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა. (თბ., ახალი ივერონი 2007), 234.

ეკლესია ჯერ კიდევ არ აღიქვამდა საფრთხედ ამგვარ მიდგომას[4]. სახელმწიფოს მიერ დონატისტების დევნა კვლავ განახლდა 347 წლიდან, რადგან დარწმუნებისა და მოლაპარაკების მეთოდები არ ჭრიდა. ამ ბრუტალური ძალადობის შედეგად, დონატისტურმა ეკლესიამ მრავალი მოწამე შეიძინა.

საინტერესოა, რომ შემდეგ, იმპერატორმა იულიანემ ეკლესიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან საშუალება მისცა გადასახლებულ დონატისტებს აფრიკაში დაბრუნებისა, რომელთაც თავისუფალი ღვთისმსახურების უფლება და საეკლესიო ქონება დაუბრუნდათ[5]. ამგვარი მოვლენები კარგი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ეკლესიისთვის, რომლის მიხედვითაც იმპერატორების მიერ ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევები დიდად სარისკო იყო. მაგრამ ამ გაკვეთილის გათვალისწინება, როგორც შემდგომი ისტორია აჩვენებს, ძნელი აღმოჩნდა.

იმპერატორ კონსტანტინე დიდისადმი კეთილგანწყობილი ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი, ვასილი ბოლოტოვიც კი აღიარებს, რომ იგი უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმეებში და რომ ის, სამწუხაროდ, ხშირად ეკლესიის ხელმძღვანელადაც კი გვევლინებოდა. მეორე მხრივ, ისტორიკოსი არ მალავს ერთობ უცნაურ ფაქტს, რომ ქრისტიანული ეკლესიის მფარველი ეს იმპერატორი სულაც არ უკრძალავდა "წარმართებს მის საპატივსაცემოდ ტაძრების აგებას. მაგალითად, ერთი ამგვარი ტაძარი იმპერატორის გვარის სადიდებლად აშენდა"[6]. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონსტანტინე დიდი არა მხოლოდ ეკლესიის შიდა საქმეებში ერეოდა საეკლესიო კანონმდებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით, არამედ ერეტიკოსებსაც სჯიდა.

იმპერატორების მხრიდან რელიგიურ სფეროში ბრუტალური ჩარევების თვალსაზრისით, გამორჩეულია სირიის მონოფიზიტური ეკლესიის პატრიარქის, მიქაელის (1166-1199) სიტყვები, რომელთა თანახმად, იმპერატორმა „მთელს იმპერიაში გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვით ვინც ქალკედონის კრებას არ აღიარებდა, მათთვის მოეჭრათ ყურები და ცხვირი, მათი სახლები კი დაენგრიათ".[7] სირიელი მონოფიზიტების მსგავსად, ალექსანდრიის კოპტური მოსახლეობაც იგივე ბედს იზიარებდა.[8]

იმპერატორმა იუსტინიანემ, ალბათ, ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი რელიგიურ სფეროში გატარებული გამორჩეული რეპრესიებით. ამ კუთხით, ჯერ მისი თანამედროვე მემატიანის, პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორიაში" ჩახედვაა იქნებოდა უპრიანი. ავტორმა ეს ნაშრომი 559 წლისთვის დაასრულა. ტექსტი დაკარგულად ითვლებოდა სანამ 1623 წელს არ აღმოჩნდა ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველის მიერ. მასში იმპერატორი იუსტინიანე მძაფრადაა გაკრიტიკებული და ეს გარემოება იმითაა საინტერესო, რომ პროკოპი საიმპერატორო კარის ჟამთააღმწერელი იყო, რომელსაც დაწერილი აქვს

---

[4] Greenslade, *Schism,* 134.

[5] Greenslade, *Schism,* 136.

[6] Василий Болотов. *Лекции По Истории Древней Церкви*. Том IV, (М., 2002), 37.

[7] Эрнст Суттнер. *Христианство Востока и Запада: В Поисках Зримого Проявления Единства*. Перевод с Немецкого Ольга Величко. (М., ББИ, 2004), 49.

[8] Суттнер, *Христианство*, 50.

იუსტინიანეს სადიდებლად ოფიციალური ისტორიებიც[9]. მემატიანე ერთდროულად მუშაობდა იმპერატორის განმადიდებელ და განმაქიქებელ ტექსტებზე. მართალია, ტექსტში იგრძნობა გადაჭარბებული კრიტიკული პათოსი, მაგ., იმპერატორი იუსტინიანე ერთგან „ადამიანის სხეულში ჩასახლებულ დემონადაც“[10] კია მოხსენიებული. იუსტინიანეს მიერ ერეტიკოსების უმოწყალო დევნას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. ამდენად, ამ ნაშრომში გამოთქმულ ანალოგიურ მოსაზრებებს ნდობით შეგვიძლია მოვეკიდოთ. პროკოპი წერს, რომ იუსტინიანე აიძულებდა ერეტიკოსებს რწმენა შეეცვალათ და მათ არა მხოლოდ სხვადასხვა სასჯელს უწესებდა, არამედ ფიზიკურად ანადგურებდა სამხედრო რაზმების მეშვეობით. კერძოდ აღნიშნულია, რომ ეს ერეტიკოსები „მხედრობამ გაწყვიტა, ბევრმა თვითონ მოიკლა თავი“[11].

იმპერატორთა ცეზაროპაპისტური ინტერვენციები არა მხოლოდ დომინანტური ეკლესიის „განმტკიცებისკენ“ იყო მიმართული, არამედ ამავე ეკლესიისთვის პირდაპირი ზიანის მომტანიც აღმოჩნდებოდა ხოლმე. იყო შემთხვევები, როცა იმპერატორები რომელიმე საეკლესიო კრების ავტორიტეტს ამოფარებულნი თავისი სურვილისამებრ მოქმედებდნენ. მაგ., 335 წლის მილანის საეკლესიო კრებაზე იმპერატორმა პირდაპირ და გადაჭრით მოითხოვა ეპისკოპოსთაგან, წმინდა ათანასე დიდის დაგმობის განჩინებისთვის ხელი მოეწერათ. როდესაც ეპისკოპოსებმა განაცხადეს, რომ ეს კანონთა საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა, იმპერატორმა უხეშად უპასუხა: “რაც მე მსურს, ეს არის თქვენთვის კანონი”[12]. უფრო მეტიც, იმპერატორ იუსტინიანეს მხრიდან დოქტრინალური საკითხების განსაზღვრაში პირადმა ჩარევებმა კინაღამ აფთარტოდოკეტური[13] ერესიც კი შემოიტანა და დააკანონა ეკლესიაში, თუმცა იუსტინიანეს გარდაცვალებამ ეკლესიას ააშორა ეს დიდი საფრთხე. კერძოდ, მისმა ძმისშვილმა, იუსტინე II-მ თავისი გამეფებისთანავე გააუქმა იუსტინიანეს აფტარტოდოკეტური განჩინება და ყველა ეპისკოპოსი გაუშვა, რომლებიც კონსტანტინეპოლში შეკრებილიყვნენ ამ ერეტიკული განჩინებისთვის ხელმოსაწერად[14].

---

[9] ქართულ ენაზე პროკოპის შემდეგი ნაშრომებია აგრეთვე ხელმისაწვდომი: პროკოპი კესარიელი. *შენობათა შესახებ.* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯულიეტა შოშიაშვილმა. (თბ., ლოგოსი 2006), 212გვ. და პროკოპი კესარიელი. *ომი სპარსელებთან.* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯულიეტა შოშიაშვილმა. (თბ., ლოგოსი 2020), 355გვ.

[10] პროკოპი კესარიელი. *საიდუმლო ისტორია.* (18.1). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ. (თბ., მეცნიერება 1989), გვ. 77.

[11] პროკოპი კესარიელი, *საიდუმლო ისტორია.* (11.23), გვ. 56-57.

[12] Болотов, *Лекции*, 59.

[13] აფთარტოდოკეტიზმის (Aphthartodocetae) ერესის ფუძემდებელი გახლდათ მე-6 საუკუნის ღვთისმეტყველი იულიანე გალიკარნასელი, რომლის აზრითაც ქრისტეს ადამიანური ბუნება არ იყო ცოდვით დაზიანებული, არამედ ჰქონდა უხრწნელების თვისება (ბერძ. aphtartos). მას ასევე დოკეტისტსაც უწოდებდნენ, რადგან მისი მტკიცებით, ქრისტეს ჯვარზე სიკვდილი იყო არა რეალური განცდა, არამედ მოჩვენებითი. ეს სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობდა იმ შეხედულებიდან, რომ სიკვდილი ცოდვის შედეგია, ქრისტე კი თავისუფალი იყო ყოველგვარი ცოდვისგან (Иоанн Мейендорф. *Рим. Константинополь. Москва*. (М., Логос 2005), 226).

[14] Антон Карташев. *Вселенские Соборы*. (Клин, 2004), 473.

ცნობილია ასევე იმპერატორ იუსტინიანე დიდის აშკარა ზეწოლა რომის პაპ ვიგილიუსზე, რომელიც იმპერატორს დატყვევებულიც კი ჰყავდა რამდენიმე წელიწადი, რომელიც 555 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა რომისკენ მიმავალ გზაზე. იმპერატორის ბრძანებით, V მსოფლიო კრებამ დიპტიქიდან ამოშალა პაპი ვიგილიუსის სახელი. "სასჯელის ეს ზომა იმის გამო დაედო პაპ ვიგილიუსს, რომ მან უარი განაცხადა ამ მსოფლიო კრებაში მონაწილეობის მიღებაზე"[15].

იუსტინიანემ აგრეთვე ორიგენეს წინააღმდეგ თავად შეადგინა ანათემატიზმები 543 წელს[16], რომელმაც მიზნად დაისახა პალესტინაში აქტიურად გავრცელებული ორიგენიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თეოლოგიური განათლების არმქონე იმპერატორმა ორიგენიზმის ფარგლებში განვითარებული იდეები ორიგენესეულად ჩათვალა[17], რაც დიდი შეცდომა იყო. ვფიქრობ, საკმარისია ამ იმპერატორის დახასიათება წინამდებარე კვლევისთვის საჭირო მიმართულებით.[18] მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, იუსტინიანესაც ეკლესიამ "დიდი" უწოდა, იმპერატორების, კონსტანტინესა და თეოდოსის მსგავსად.

ქრისტიანი იმპერატორების აგრესიული რელიგიური პოლიტიკა არა მხოლოდ ქრისტიან ერეტიკოსებს, არამედ წარმართებსაც მიემართებოდა და ძნელი იყო იმის გარჩევა თუ როდის უფრო ვლინდებოდა მეტი ლმობიერება ამ მიმართულებით. რაც შეეხება საეკლესიო ხელისუფლებას, ის ხშირად არა მხოლოდ ეთანხმებოდა საიმპერატორო კარის მიერ დაწყებულ ერეტიკოსთა დევნასა და მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, არამედ თავადაც გვევლინებოდა ამის ინიციატორად. იოანე მეიენდორფი აღნიშნავდა, რომ "ქრისტიანი სამღვდელოება მზადყოფნას გამოხატავდა ახალი, იმგვარი მონოლითური ქრისტიანული სოციალური წესრიგის დასამყარებლად, როგორიც იმპერატორებს სურდათ".[19] შედეგად, მაგ., 542 წელს იმპერატორ იუსტინიანეს დავალებით, სამოცდაათი ათასი წარმართი ქრისტიანმა სასულიერო პირებმა ძალით მოაქციეს ქრისტიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ქონების კონფისკაცია და გადასახლება ემუქრებოდათ. ალექსანდრე შმემანი კი უფრო შორს მიდის და შემდეგს აცხადებს: "პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ეკლესია

---

[15] Карташев, *Вселенские Соборы,* 441; ამრიგად, სრულიად გაუგებარია გვანცა კოპლატაძის პოზიცია, რომელიც რატომღაც დადებით მნიშვნელობას ანიჭებს იმპერატორ იუსტინიანეს მხრიდან საეკლესიო საქმეებში ჩარევას (იხ.: გვანცა კოპლატაძე. *ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.* (თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007), 419). მისი ნაშრომი უმეტესად სწორედ რუსულ ისტორიოგრაფიას ეყრდნობა.

[16] Heinrich Denzinger. *Compendium of Creeds, Definitions and Declarations on Matters of Faith and Morals*. 43rd edition. Edited by Peter Hunermann. (San Francisco: Ignatius Press 2012), 143-144.

[17] Ilaria Ramelli. *The Christian Doctrine of Apokatastasis*. A critical Assessment from the New Testament to Eriugena. (Leiden: Brill 2013), 726.

[18] იუსტინიანეს მმართველობის ხასიათის მეტი სიღრმით შესაცნობად დავასახელებდი, მაგ., შემდეგ ნაშრომებს: Milton Anastos. *„Justinian's Despotic Control Over the Church as Illustrated by His Edicts on the Theopaschite Formula and His Letter to Pope John II in 533",* Studies in Byzantine Intellectual History, article IV. (London: Variorum Reprints 1979), 1-11. იხ. ასევე: Paul Alexander. *"Religious Persecution and Resistance in the Byzantine Empire of the Eighth and Ninth Centuries: Methods and Justifications",* In Paul Alexander. Religious and Political History and Thought in the Byzantine Empire: Collected Studies. (London: Variorum Reprints 1978), article X, 238-264.

[19] John Meyendorff. *Imperial Unity and Christian Divisions: The Church, 450-680 AD*. (Crestwood, N.Y.: SVS Press 1989), 15.

მოითხოვდა იმპერატორისგან წარმართობასთან ბრძოლას და უარყოფდა შემწყნარებლობის თვით პრინციპს. დაივიწყა რა მდევნელებისადმი მიმართული ტერტულიანეს სიტყვები, 'საზოგადო სამართალიც და ბუნებითი კანონი მოითხოვს, რომ თითოეულმა თაყვანი სცეს იმ ღმერთს, რომელიც სწამს მას. ერთმა რელიგიამ არ უნდა იძალადოს მეორეზე' (Tertullian. Ad Scapulam. 2 (PL 1,699)"[20].

528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დადგენილი კანონით, მართლმადიდებლობა არა მხოლოდ ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული, არამედ „ქრისტიანი ეპისკოპოსები იურიდიულად პასუხისმგებელნი ხდებიან წარმართობის ძალადობრივ ჩახშობაზე"[21].

ყოფილა თუ არა ოდესმე მხოლოდ საეკლესიო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული იძულება, ძალადობა და დევნა სქიზმაში მყოფი ერეტიკოსებისა? გამომდინარე ბიზანტიისა და ასევე რუსეთის მართლმადიდებლურ იმპერიებში არსებული ცეზაროპაპისტული პოლიტიკური სისტემებისგან, ამგვარი დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება საეკლესიო იერარქიას არ გააჩნდა. მაგრამ ამ საკითხისადმი საეკლესიო იერარქთა დამოკიდებულების გამოსარკვევად მთავარი ის ფაქტებია, როცა საერო ხელისუფლის მიერ დაწყებულ რელიგიურ დევნას ეთანხმებოდნენ და მხარს უჭერდნენ საიმპერიო ეკლესიის მესვეურნი (თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი ცნობილი ქრისტიანი მოღვაწე, მაგ., წმინდა ამბროსი მედიოლანელი, წმინდა იოანე ოქროპირი და სხვები, ამგვარი არაქრისტიანული ქმედებების გამო, პირდაპირ კონფლიქტშიც შედიოდნენ უშუალოდ იმპერატორებთან).

ამრიგად, ეკლესიის მესვეურნი (რომლებიც ხშირად უბრალოდ ადმინისტრატორები იყვნენ და სხვა მხრივ ნაკლებად გამორჩეულნი) ზოგჯერ არა მხოლოდ ეთანხმებოდნენ ძალადობრივ საიმპერიო პოლიტიკას სხვაგვარი რწმენის მიმდევართა მიმართ, არამედ თავადაც ინიცირებდნენ მას, რაშიც საერო ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ. ამგვარი იყო, მაგ., VI საუკუნეში იუსტინე II-სა და კონსტანტინეპოლის პატრიარქ იოანე სქოლასტიკოსის დროს მონოფიზიტების დევნის შემთხვევა, როცა ამ უკანასკნელთ სხვადასხვა სახის სასჯელის მუქარით აიძულებდნენ დიოფიზიტებთან გაერთიანებას[22]. ასევე VI საუკუნის დასაწყისში კონსტანტინეპოლის პატრიარქი ტიმოთეც არწმუნებს იმპერატორ ანასტასიუსს მონოფიზიტების დევნის აუცილებლობაში[23].

ამრიგად, ისტორიულ რეალობას სრულიად აცდენილია ზოგიერთი მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტის მსჯელობა, მაგ., საქართველოში მოღვაწე არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი გამორჩეული რიხით გვატყობინებს, რომ "დასავლეთი ხმალს უღერებდა სარწმუნოების მტრებს, აღმოსავლეთი კი სულიერ მებრძოლებს ზრდიდა უხილავ მტრებთან საომრად. დასავლეთი ინკვიზიციას ქმნის ბოროტების დასათრგუნად, აღმოსავლეთი კი უდიდეს

---

[20] ალექსანდრე შმემანი. *მართლმადიდებლობის ისტორიული გზა.* მთარგმნელები ოთარ ზოიძე და ფრიდონ საყვარელიძე. (თბ., წიგნის სახელოსნო 2011), 163.

[21] Meyendorff, *Imperial Unity*, 5.

[22] William Bunce. *"Flawed Forensics: Miaphysites on Trial in the Courts of Justin II",* Hugoye: Journal of Syriac Studies, 26:1 (2023), 47-95.

[23] Jitse Dijkstra, and Geoffrey Greatrex. *"Patriarchs and Politics in Constantinople in the Reign of Anastasius (with a Reedition of O.Mon.Epiph. 59)",* Millennium 6 (2009), 223-264.

ფილოსოფიურ სისტემებს"[24]. ზემოთ მოკლედ აღიწერა, რომ აღმოსავლეთში[25] არა მხოლოდ სულიერად ებრძოდნენ სულიერ თუ ხორციელ მტრებს, არამედ ასევე ფიზიკური ძალითაც ანადგურებდნენ ერეტიკოსებსა თუ წარმართებს. რაც ეხება დასავლეთს, ინკვიზიცია იმ გარემოში, სადაც ეჭვმიტანილებს ხალხი ლინჩის წესით სჯიდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ინკვიზიცია გამოძიების მოწესრიგებული პროცესი გულისხმობდა საქმის დეტალურ გარჩევას საადვოკატო მომსახურების პირობებში, რის შედეგადაც მრავალი გამამართლებელი განაჩენიც კი იქნა გამოტანილი. დანიელმა სპეციალისტმა, გუსტავ ხენინგსენმა „კომპიუტერის გამოყენებით ორმოცდაათი ათასზე მეტი პროცესის მასალა დაამუშავა და აღმოჩნდა, რომ ინკვიზიციის მიერ გამოტანილი და გამოქვეყნებული სიკვდილის განაჩენები ძალზე მცირე – სასამართლო განაჩენების საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი პროცენტი იყო. სხვათა შორის უცნობია, ამ განაჩენებიდან სინამდვილეში რამდენი აღასრულეს".[26] ბიზანტიაში კი, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ასახიჩრებდნენ და კლავდნენ ათასობით ერეტიკოსს, წარმართს და სხვა განსხვავებულებს.

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ნეტარი ავგუსტინესეული ინტერპრეტაცია სახარებისეული იგავისა, რომელსაც მოგვიანებით იძულების მომხრენი იყენებდნენ. ავგუსტინე მომხრე იყო რწმენის სფეროში ძალის გამოყენებისა. თავდაპირველად მასაც დაუშვებლად მიაჩნდა ამგვარი ქმედება, მაგრამ დონატისტებთან ბრძოლის დროს იგი იმ აზრამდე მიდის, რომ დარწმუნების მეთოდი ყოველთვის შედეგის მომტანი ვერ არის, რომ თავად შეცდომილთა სასარგებლოდ საჭიროა შიშისა და იძულების მეთოდებით მოქმედებაც. ნეტარი ავგუსტინე ძირითადად ეყრდნობოდა ქრისტეს იგავს იმ მდიდრის შესახებ, რომელიც დიდი დღესასწაულისთვის ემზადებოდა. დღესასწაულზე დაპატიჟებული სტუმრები არ მოვიდნენ, რის გამოც ბატონი შემდეგი სიტყვებით მიმართავს თავის მსახურს: "გადი გზებსა და შუკებში და ძალით მორეკე წვეულნი, რათა აივსოს ჩემი სახლი" (ლუკა 14:23). რწმენის საქმეში იძულების მეთოდის გამოყენების შესახებ ავგუსტინემ თავისი შეხედულებები გადმოსცა თავის წერილში დონატისტი ვინცენტის მიმართ[27].

---

[24] რაფაელ კარელინი. *საუბრები მართლმადიდებლობაზე.* (თბ., ლოგოსი 1994), 18.

[25] აღმოსავლეთში არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ რუსეთის იმპერიასაც ვგულისხმობ, თუმცა ამ უკანასკნელზე სამსჯელოდ წინამდებარე ნაშრომის ჩარჩო არ იძლევა საშუალებას და ეს არც არის აუცილებელი.

[26] იხ., მაგ. ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემული შემდეგი ნაშრომი: რინო კამილერი. *ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია*. იტალიურიდან თარგმნა ვიტალი დოლიძემ და ამირან კაცაძემ. (თბ., 2005), 15.

[27] ავგუსტინეს ამ იდეის ვრცელი განხილვა იხ. შემდეგ პუბლიკაციებში: Jonh von Heyking. *„The Coercion of Heretics",* In Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. (London: Routledge 2011), 445-480; John Bowlin. *„Augustine on Justifying Coercion",* In Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. (London: Routledge 2011), 413-434; P. R. L. Brown. *„St. Augustine's Attitude to Religious Coercion",* In Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. (London: Routledge 2011), 435-444; Geoffrey Dunn. *"Discipline, Coercion, and Correction: Augustine against the Violence of the Donatists in Epistula 185",* Scrinium 13 (2017), 114-130; Paul van Geest, *„Timor est servus caritatis (s. 156,13–14): Augustine's Vision on Coercion in the Process of Returning Heretics to the Catholic Church and his Underlying Principles",* The Uniquely African Controversy: Studies in Donatist Christianity. Edited by Anthony Dupont et al. (Leuven: Peeters 2015), 289-310.

მაგრამ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ეკლესიის წმინდა მამებს ერეტიკოსების წინააღმდეგ ფიზიკური ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით? შეიძლება ითქვას, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას დაუშვებლად მიაჩნდა ამგვარი მიდგომა. მათ შორის იყვნენ დასავლელი, ლათინი მამებიც, რომლებიც ხმას იმაღლებდნენ აღნიშნული რეპრესიების გამო ერეტიკოსებისა და წარმართების წინააღმდეგ. მაგ., 390 წელს წმინდა ამბროსი მედიოლანელი იმპერატორ თეოდოსისგან საჯარო სინანულს ითხოვს წარმართების დასჯის გამო და მას ზიარებაზე უარს ეუბნება[28]. ასევე აღმოსავლეთში, იოანე ოქროპირი განმარტავს რა მათეს სახარებაში გადმოცემულ ხორბლისა და ღვარძლის იგავს (საუბარი 46, 2), კითხვას სვამს: "რას გულისხმობდა ღმერთი, როცა ამბობდა, ვაითუ ღვარძლის აღმოფხვრისას მასთან ერთად ხორბალიც ამოგლიჯოთო?" რომელსაც იგი ამგვარად პასუხობს: "გულისხმობდა იმას, რომ ერეტიკოსების დახოცვისას მათთან ერთად უსათუოდ განადგურდება მრავალი წმინდა ადამიანი; ან კიდევ იმას, რომ ბევრი ამ ღვარძლთაგან შეიძლება ხორბლად შეიცვალოს და გარდაიქმნას". ცოტა ქვემოთ კი ოქროპირი გადაჭრით ამბობს, რომ "ღმერთი კრძალავს მათ განადგურებასა და მოკვლას".

მოლაპარაკების მეთოდი

საეკლესიო სქიზმების დაძლევის, აღმოფხვრისა თუ განეიტრალების გზაზე, ბუნებრივია, იძულებასა და ძალმომრეობაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მოლაპარაკებას, თეოლოგიური განსხვავებების გულწრფელ განხილვას, რაც, უმთავრესად, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიმდინარეობდა. გაერთიანებისკენ მიმართული მოლაპარაკებები სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა, იქნებოდა ეს საეკლესიო კრებები, საიმპერატორო კარის შუამავლობით ორგანიზებული შეხვედრები თუ ცალკეული ორმხრივი თეოლოგიური დიალოგები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოლაპარაკებების გულწრფელი მოტივები ზოგჯერ რელიგიური ჭეშმარიტების გამორკვევას მართლაც უკავშირდებოდა, ხშირად ისინი პოლიტიკურ მიზანშეწონილობასთანაც იყო გადაწნული.[29] ეს გარემოება ხშირად ყოფილა იმის მიზეზი, თუ რატომ ვერ შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა ამგვარმა ერთიანობამ.

ისტორიულად, საეკლესიო გაერთიანების შესახებ დიალოგები იშვიათად გულისხმობდა მხოლოდ თეოლოგიურ განხილვებს, რადგან ისინი, როგორც წესი, პოლიტიკური ზეწოლის, სამხედრო საფრთხეებისა და ფინანსური საჭიროებების ფონზე მიმდინარეობდა. მაგ., XIII და XV საუკუნეების ბიზანტიელი იმპერატორები რომთან საეკლესიო გაერთიანებას ძირითადად იმისთვის ცდილობდნენ, რომ ოსმალთაგან ან სხვა დამპყრობთაგან მომდინარე საფრთხის წინააღმდეგ სამხედრო და ფინანსური დახმარება მიეღოთ. ლიონის მეორე კრება (1274 წ.) და ფერარა-ფლორენციის კრება (1438-1439 წწ.) ყველაზე ცნობილი შემთხვევებია,

[28] Meyendorff, *Imperial Unity*, 8.

[29] Edward Siecienski. *„(Re)defining the Boundaries of Orthodoxy",* Tradition and the Rule of Faith in the Early Church. Essays in Honor of Joseph Leinhard. (Washington, D.C.: Catholic University of America Press, 2010), 286-307.

როდესაც დიპლომატიურმა აუცილებლობამ ბიზანტიელი დელეგატები აიძულა რომთან თეოლოგიურ შეთანხმებაზე წასულიყვნენ[30].

ეკლესიათა გაერთიანების შესახებ დისკუსიების დროს სხვადასხვა დოქტრინალური და ეკლესიოლოგიური საკითხები იყო წამოჭრილი. ქრისტიანობის საწყის ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადაო თემა უკავშირდებოდა ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების ურთიერთმიმართებას, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა V-VI საუკუნეებში წარმოქმნილ მასშტაბური განხეთქილებების წარმოქმნაში, რის შედეგადაც გაჩნდა ქალკედონური და არაქალკედონური (ე.წ. ორიენტალური) ეკლესიები. მათ შორის მიმდინარე განხილვები იმგვარ ფორმულირებებს ეძებდა, რომლებიც სხვადასხვა ტერმინების შინაარსობრივი მორიგების საშუალებას უზრუნველყოფდა. ბოლო ხანს ორმხრივმა ქრისტოლოგიურმა დეკლარაციებმა აჩვენა, რომ ფრთხილი თეოლოგიური, ფილოლოგიური და ისტორიული კონტექსტის ანალიზის საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას ორივე მხარისთვის მისაღები დეფინიციები, რომლებიც წარმოაჩენენ რწმენის საერთო საფუძველს და უარყოფენ იმ გამაუცხოებელ პოზიციებს, რამაც ერთმანეთს დააშორა აღნიშნული ეკლესიები.[31]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბერძნულ და ლათინურ (რომის) ეკლესიებს შორის ხანგრძლივი დებატი პაპის ავტორიტეტის ხასიათთან დაკავშირებით. რომის ეპისკოპოსის პირველობის საკითხი გამორჩეულ დაბრკოლებას წარმოადგენდა, განსაკუთრებით მეორე ათასწლეულში. პაპის პრიმატის დასავლური გაგება ისე, როგორც ეს პირველი ათასწლეულის[32] შემდეგ ყალიბდება, ვერ უთავსდებოდა აღმოსავლურ ეკლესიოლოგიას, რომელიც ხაზს უსვამდა კრებით აზროვნებასა და ეკლესიათა პირველი იერარქების თანასწორობას.[33]

ლიტურგიკულ და საკრამენტულ პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხებიც ხშირად ყოფილა დავის საგანი, მაგ., მრწამსში "ფილიოკვეს"[34] თუ საფუარიანი ან უსაფუარო პურის გამოყენება ევქარისტიისას, გარდაცვლილთათვის ლოცვა და განსაწმენდელის საკითხი[35] და სხვა, რომლებზეც კამათობდნენ არა მხოლოდ

---

[30] ფერარა-ფლორენციისა და მეორე ლიონის კრებებისა და მათ მიმართ ქართველთა ისტორიული დამოკიდებულების შესახებ იხ. სტატია, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ინგლისურ ენაზე: David Tinikashvili. *"Georgia in the Context of Medieval European Church Union Efforts: The Councils of Florence and Lyon II"*, სტატია ეგზავნება ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის (ვაშინგტონი) ჟურნალს: *The Catholic Historical Review*, (2026).

[31] Theresia Hainthaler. *"Christological Declarations with Oriental Churches",* In Christians Shaping Identity from the Roman Empire to Byzantium: Studies Inspired by Pauline Allen, edited by Geoffrey D. Dunn and Wendy Mayer. (Leiden: Brill 2015), 426-453.

[32] პირველი ათასწლეულის რეალობაზე ქართულ ენაზე იხ.: დავით თინიკაშვილი. *„რომის უპირატესობის შესახებ პირველი ათასწლეულის აღმოსავლურ საქრისტიანოში"*, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტომი 14 (2022), 68-74.

[33] პაპის პრიმატის თემაზე ობიექტურ და აკადემიურ განხილვებს შეიცავს, მაგ., შემდეგი ნაშრომები: Edward Siecienski. *The Papacy and the Orthodox: Sources and History of a Debate*. (Oxford: Oxford University Press, 2017), 528p.; Klaus Schatz. *The Papal Primacy: From its Origins to the Present.* Translated from German. (Collegeville, Minn.: Liturgical Press 1996), 197p.

[34] Edwards Siecienski. *Filioque: History of a Doctrinal Controversy*. (Oxford: OUP 2010), ix+355p.

[35] მიღმიერ სამყაროში სულთა განწმენდის თემაზე ბერძნული და ლათინური ეკლესიების დიალოგზე იხ. შემდეგი პუბლიკაციები: დავით თინიკაშვილი. *„აპოკატასტასისი და განსაწმენდელი: აღმოსავლეთის შეხვედრა დასავლეთთან"*, ახლო აღმოსავლეთი და

განყენებული თეოლოგიური იდეების, არამედ საეკლესიო რიტუალური პრაქტიკის კონტექსტშიც. გაერთიანების მოლაპარაკებებში ხშირად ცდილობდნენ შუალედური გზების გამოძებნას ან განსხვავებული პრაქტიკების ერთმანეთის პარარელურად არსებობის ლეგიტიმაციას, მაგ., უფუარი და საფუარიანი პურის სურვილისამებრ გამოყენებას[36].

ეკლესიათა დიალოგი ხშირად არგუმენტაციის განსხვავებულ სახეობასა და რიტორიკულ ტექნიკებს ავლენდა. მხარეები იყენებდნენ ინსტრუმენტებს, რომლებიც გულისხმობდა პატრისტიკული ტექსტების დამოწმებას, კანონიკურ არგუმენტაციას, ფილოლოგიურ სიზუსტესა და დიპლომატიურ კომპრომისს. თითოეული მხარე ცდილობდა წმინდა მამათა ავტორიტეტი საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ წარმოეჩინა. ამის გამო, საჭიროდ ითვლებოდა დიდი ყურადღება დაეთმოთ სადავო ტექსტების თეოლოგიური, ფილოლოგიური და ისტორიული კონტექსტის გაანალიზებისთვის[37]. ორივე მხარეს ხშირად შეეძლო თავისთვის სასარგებლო იდეების პოვნა პატრისტიკულ მემკვიდრეობაში; წარმატებული მოლაპარაკებები, როგორც წესი, ფოკუსირებული იყო წმინდა წერილისა და წმინდა მამათა ტექსტების საერთო ინტერპრეტაციული ველის განსაზღვრაზე და სემანტიკური ხაფანგების თავიდან ასაცილებლად ტერმინების ფრთხილად განსაზღვრაზე. მაგ., XV საუკუნის ბერძენი დელეგატები ფილიოკვეს ფორმულირებას ისე ცდილობდნენ, რომ შეენარჩუნებინათ აღმოსავლური პნევმატოლოგიის თეოლოგიური ბირთვი და თან ცდილობდნენ ლათინური თეოლოგიური ფორმულირებების კონკრეტული ტექნიკური მეთოდით დამკვიდრებას[38].

ამრიგად, დიპლომატიური კომპრომისი თუ პოლიტიკური ვაჭრობა ხშირად იყო ეკლესიათა შორის გამართული დიალოგების თანმდევი, კერძოდ, სამხედრო დახმარების დაპირება გარკვეული დოგმატური ან სხვა სახის კომპრომისების სანაცვლოდ. პოლიტიკური და თეოლოგიური ინსტრუმენტების ამგვარი ნაზავი ხშირად განაპირობებდა როგორც არგუმენტაციის საფუძველს, ისე შედეგების გამძლეობას[39].

საქართველო, რედ.: გიორგი სანიკიძე. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, ტომი XII (2020), 78-97; დავით თინიკაშვილი. *„აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის ღმერთთან დაბრუნების შესახებ“*, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, რედ.: გიორგი სანიკიძე. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, ტომი XI (2018), 125-173.

[36] John Erickson. *“Leavened and Unleavened: Some Theological Implications of the Schism of 1054”,* Erickson, John. The Challenge of Our Past: Studies in Orthodox Canon Law and Church History. (New York: SVS Press 1991), 133-156; Edward Siecienski. *Beards, Azymes, and Purgatory: The Other Issues that Divided East and West*. (Oxford: OUP 2023), xv+375p.

[37] Andrew Sopko. *“Patristic Methodology in Late Byzantium”,* In The Making of Byzantine History: Studies Dedicated to Donald M. Nicol. Edited by R. Beaton and C. Roueché. (Aldershot: Variorum 1993), 158-168; Alexander Alexakis. *“The Greek Patristic Testimonia Presented at the Council of Florence (1439) in Support of the Filioque Reconsidered”,* Revue des Ètudes Byzantines, tome 58 (2000), 149-165.

[38] Siecienski, *The Papacy*, 332-338.

[39] უფრო ვრცლად, ზოგადად ლათინურ-ბერძნული თეოლოგიური დიალოგების თავისებურებების სისტემატური განხილვებისთვის იხ., მაგ., შემდეგი ნაშრომები: Tia

საეკლესიო გაერთიანების შესახებ განხილვების წარმატებულ შედეგებსა და მათ მდგრადობასთან რამდენიმე ფაქტორი იყო დაკავშირებული. ესენი იყო, მაგ., რეცეფციის სიღრმე — უკიდურესად არასტაბილური იყო იმგვარი გაერთიანებები, რომლებიც მხოლოდ იერარქებს ანუ საეკლესიო ელიტის წარმომადგენლებს შორის შეთანხმებებად რჩებოდა (ხშირად გარე ზეწოლის გამო, რაც საერო ხელისუფლებიდან მომდინარეობდა), მაგრამ არ იყო მიღებული დანარჩენი სასულიერო პირებისა და მორწმუნე მრევლის ანუ ხალხის მხრიდან. 1274 წლის ლიონისა და 1439 წლის ფლორენციის საეკლესიო გაერთიანებები იყო ზემოდან ნაკარნახევი შეთანხმებები, რომლებმაც ვერ მიიღეს სახალხო დადასტურება[40].

პოლიტიკური ხასიათის შედეგები — საეკლესიო უნიის მთავარი საფუძველი ზოგჯერ სამხედრო ან ფინანსური მხარდაჭერის მიღება იყო; როდესაც მხარდაჭერა ვერ იქნა მიღებული ან აღიქმებოდა, როგორც პირობითი და არასაკმარისი, მაშინ

Kolbaba. *The Byzantine Lists: Errors of the latins*. (Urbana, Ill: University of Illinois Press 2000), xi+230p.; Tia Kolbaba. *Inventing Latin Heretics: Byzantines and the Filioque in the Ninth Century*. (Kalamazoo: Medieval Institute Publications 2008), 214p. Tia Kolbaba. *"Greek and Latin Christians",* The Cambridge History of Christianity. Vol. 3, edited by Thomas F.X. Noble and Julia M.H. Smith. (Cambridge: CUP 2008), 213-229; Milton Anastos. *„Constantinople and Rome: A Survey of the Relations between the Byzantine and the Roman Churches",* In Milton Anastos. Aspects of the Mind of Byzantium: Political Theory, Theology, and Ecclesiastical Relations with the See of Rome. Edited by Spyros Vryonisjr and Nicholas Goodhue. (Aldershot: Ashgate 2001), part VIII, 1-119; Francis Dvornik. *"Constantinople and Rome",* In The Cambridge Medieval History. Vol. IV: The Byzantine Empire, Part 1: Byzantium and its Neighbours. Edited by J.M. Hussey. (Cambridge: CUP 1966), 431-472; Kallistos Ware. *"Constantinople and Rome (858-1439)",* In A History of the Christian Doctrine. Edited by Hubert Cunliffe-Jones. (Philadelphia: Fortress Press 1980), 201-215; Joseph Hermans. *"The Byzantine view of the Latin West before 1204: Changing ideas and growing fears",* In The Latin Empire: Some Contributions. Edited by Krijnie Ciggaar and V.D. van Aalst. (Hernen: A.A. Bredius Foundation 1990), 1-19; Michael Angold. *Church and Society in Byzantium under the Comneni, 1081-1261*. (Cambridge: CUP 1995), 505-529; Aristeides Papadakis. *The Christian East and the Rise of Papacy: The Church 1071-1453*. (Crestwood, New York: SVS Press, 1994), 199-238; Aristeides Papadakis. *"The Byzantines and the Rise of the Papacy: Points for Reflection, 1204-1453",* In Greeks, Latins, and Intellectual History, 1204-1500. Edited by Martin Hinterberger and Chris Schabel. (Leuven: Peeters 2011), 19-42; Edward Siecienski. *"Byzantium and the Papacy from the Fifth to Fifteenth Centuries: The Three-Stage Response"*, In Contra Latinos et adversus Graecos: The separation between Rome and Constantinople from the ninth to the fifteenth century. Edited by Bucossi, Alessandra and Anna Calia. (Leuven: Peeters 2020), 1-30.

[40] ქრისტიანობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური საეკლესიო გაერთიანების (ფლორენციის უნია) მარცხის შესახებ, იხ., მაგ., შემდეგი ნაშრომები: Constantina Scourtis Gaddis. *„The Failure of Reconciliation: The Byzantine Experience at the Council of Ferrara-Florence (1438-39)".* (PhD Diss., University of California, Los Angeless, 2004), x+257p.; Charalambos Dendrinos. *"Reflections on the Failure of the Union of Florence",* Annuarium Historiae Conciliorum 39 (2007), 135-153; Deno Geanakoplos. *"The Council of Florence (1438-1439) and the Problem of Union Between the Greek and Latin Churches"*, Church History 24:4 (1955), 324-346; John Meyendorff. *"Was There an Encounter between East and West at Florence?"*, In Christian Unity: The Council of Ferrara-Florence, 1438/39. Edited by Giuseppe Alberigo. (Leuven: Leuven University Press 1991), 153-175; George Demacopoulos. *"The Popular Reception of the Council of Florence in C/ple (1439-1453)"*, St. Vladimir's Theological Quarterly 43:1 (1999), 37-53.

პოლიტიკური სტიმული სუსტდებოდა. ფლორენციის უნიის მარცხი მას შემდეგ, რაც ოსმალებმა გააგრძელეს ბიზანტიაზე ზეწოლა, ამის საუკეთესო მაგალითია.

შემდეგი ფაქტორია კონცეპტუალური მოქნილობა — მოლაპარაკებები, რომლებიც ტერმინოლოგიურ ინკლუზიურობას ან საკრამენტალურ პლურალიზმს (ლიტურგიკული განსხვავებებისადმი შემწყნარებლობას) ეფუძნებოდა, საკმარის სივრცეს ქმნიდა თანაარსებობისთვის, მაშინაც კი, როდესაც სრული დოქტრინული ერთსულოვნება არ იყო მიღწეული. თანამედროვე ქრისტოლოგიური დეკლარაციები, რომლებიც სადავო ენას არბილებს, იძლეოდა ურთიერთდაახლოვების საშუალებას და არა ოფიციალური საეკლესიო გაერთიანებისა.

აღნიშნული დისკუსიებისას არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გამოყენებული მეთოდი და ტონი — პოლემიკური ტრიუმფალიზმი განხეთქილებების გამწვავებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე პირიქით. წარმატებული თანამედროვე დიალოგები ისტორიულ თანაგრძნობას, ძველი ტექსტების ფრთხილ ანალიზსა და ტრიუმფალისტური რიტორიკის თავიდან აცილებას გულისხმობს. ამიტომ, უარსაყოფია ზოგიერთი იმგვარი მცდელობა შუა საუკუნეებიდან, როდესაც საჯარო დაგმობა და ერთმანეთის შესახებ კარიკატურების შექმნა წინააღმდეგობას ამძაფრებდა.

ამრიგად, ისტორია აჩვენებს, რომ განხეთქილებაში მყოფ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის თეოლოგიური მოლაპარაკებები ერთგვარ ჰიბრიდულ კონტრაქტს ჩამოჰგავს, რაც უნდა ითვალისწინებდეს თეოლოგიურ არგუმენტაციას, ერთმანეთისთვის გასაგები მსჯელობის ფორმალურ სტილს, შესაბამის კანონიკურ მიდგომებსა და მეთოდებს, პოლიტიკურ მოლაპარაკებასა და ეღთმანეთთან საკმარისს კულტურულ ადაპტაციასაც კი. ეს ყველაფერი ერთმანეთშია გადაწნული და მდგრადი გაერთიანება ყველაზე ხშირად მოითხოვს ფრთხილ თეოლოგიას, რომელიც თავიდან იცილებს ძველი პოლემიკების უბრალო გამეორებას. უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გარანტიებს ადგილობრივი ლიტურგიკული და დისციპლინური პრაქტიკის შენარჩუნებისთვის, თანხმობას ორივე ეკლესიის რიგითი წევრებისგან და არა მხოლოდ იერარქებისგან და ითვალისწინებს პოლიტიკურ კონტექსტს.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

1. ევსები კესარიელი. *საეკლესიო ისტორია*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა. თბ., ახალი ივერონი 2007.
2. თინიკაშვილი, დავით. *„რომის უპირატესობის შესახებ პირველი ათასწლეულის აღმოსავლურ საქრისტიანოში“*, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტომი 14, 2022, 68-74.
3. თინიკაშვილი, დავით. *„აპოკატასტასისი და განსაწმენდელი: აღმოსავლეთის შეხვედრა დასავლეთთან“*, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, რედ.: გიორგი სანიკიძე. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, ტომი XII, 2020, 78-97.

4. თინიკაშვილი, დავით. *„აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის ღმერთთან დაბრუნების შესახებ“*, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, რედ.: გიორგი სანიკიძე. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, ტომი XI, 2018, 125-173.
5. კარელინი, რაფაელ. *საუბრები მართლმადიდებლობაზე.* თბ., ლოგოსი 1994.
6. კამილერი, რინო. *ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია*. იტალიურიდან თარგმნა ვიტალი დოლიძემ და ამირან კაცაძემ. თბ., 2005.
7. კოპლატაძე, გვანცა. *ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.* თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2007.
8. პროკოპი კესარიელი. *შენობათა შესახებ.* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯულიეტა შოშიაშვილმა. თბ., 2006.
9. პროკოპი კესარიელი. *ომი სპარსელებთან.* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯულიეტა შოშიაშვილმა. თბ., 2020.
10. პროკოპი კესარიელი. *საიდუმლო ისტორია.* (18.1). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ. თბ., მეცნიერება 1989.
11. შმემანი, ალექსანდრე. *მართლმადიდებლობის ისტორიული გზა.* მთარგმნელები ოთარ ზოიძე და ფრიდონ საყვარელიძე. თბ., წიგნის სახელოსნო 2011.
12. Anastos, Milton. *„Justinian's Despotic Control Over the Church as Illustrated by His Edicts on the Theopaschite Formula and His Letter to Pope John II in 533“,* Studies in Byzantine Intellectual History, article IV. London: Variorum Reprints 1979, 1-11.
13. Angold, Michael. *Church and Society in Byzantium under the Comneni, 1081-1261*. Cambridge: CUP 1995, 505-529.
14. Alexander, Paul. *"Religious Persecution and Resistance in the Byzantine Empire of the Eighth and Ninth Centuries: Methods and Justifications",* Paul Alexander. Religious and Political History and Thought in the Byzantine Empire: Collected Studies. London: Variorum Reprints 1978, article X, 238-264.
15. Alexakis, Alexander. *"The Greek Patristic Testimonia Presented at the Council of Florence (1439) in Support of the Filioque Reconsidered",* Revue des Ètudes Byzantines, tome 58, 2000, 149-165.
16. Anastos, Milton. *„Constantinople and Rome: A Survey of the Relations between the Byzantine and the Roman Churches“,* Milton Anastos. Aspects of the Mind of Byzantium: Political Theory, Theology, and Ecclesiastical Relations with the See of Rome. Edited by Spyros Vryonisjr and Nicholas Goodhue. Aldershot: Ashgate 2001, part VIII, 1-119.
17. Dvornik, Francis. *"Constantinople and Rome",* The Cambridge Medieval History. Vol. IV: The Byzantine Empire, Part 1: Byzantium and its Neighbours. Edited by J.M. Hussey. Cambridge: CUP 1966, 431-472.
18. Bowlin, John. *„Augustine on Justifying Coercion“,* Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. London: Routledge 2011, 413-434.
19. Brown, P. R. L. *„St. Augustine's Attitude to Religious Coercion“,* Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. London: Routledge 2011, 435-444.

20. Bunce, William. *"Flawed Forensics: Miaphysites on Trial in the Courts of Justin II",* Hugoye: Journal of Syriac Studies, 26:1, 2023, 47-95.
21. Demacopoulos, George. *"The Popular Reception of the Council of Florence in C/ple (1439-1453)"*, St. Vladimir's Theological Quarterly 43:1, 1999, 37-53.
22. Dendrinos, Charalambos. *"Reflections on the Failure of the Union of Florence",* Annuarium Historiae Conciliorum 39, 2007, 135-153.
23. Denzinger, Heinrich. Compendium of Creeds, Definitions and Declarations on Matters of Faith and Morals. 43rd edition. Edited by Peter Hunermann. San Francisco Ignatius Press 2012.
24. Dijkstra, Jitse, and Geoffrey Greatrex. *"Patriarchs and Politics in Constantinople in the Reign of Anastasius (with a Reedition of O.Mon.Epiph. 59)",* Millennium 6, 2009, 223-264.
25. Dunn, Geoffrey. *"Discipline, Coercion, and Correction: Augustine against the Violence of the Donatists in Epistula 185,"* Scrinium 13, 2017, 114-130.
26. Erickson, John. *"Leavened and Unleavened: Some Theological Implications of the Schism of 1054",* Erickson, John. The Challenge of Our Past: Studies in Orthodox Canon Law and Church History. New York: SVS Press 1991, 133-156.
27. Gaddis, Constantina Scourtis. *„The Failure of Reconciliation: The Byzantine Experience at the Council of Ferrara-Florence (1438-39)".* PhD Diss., University of California, Los Angeless, 2004.
28. Geanakoplos, Deno. *"The Council of Florence (1438-1439) and the Problem of Union Between the Greek and Latin Churches"*, Church History 24:4, 1955, 324-346.
29. Geest, Paul van. *„Timor est servus caritatis (s. 156, 13-14): Augustine's Vision on Coercion in the Process of Returning Heretics to the Catholic Church and his Underlying Principles",* The Uniquely African Controversy: Studies in Donatist Christianity. Edited by Anthony Dupont et al. Leuven: Peeters 2015, 289-310.
30. Greenslade, Stanley. *Schism in the Early Church*. London: SCM Press, 1953.
31. Hainthaler, Theresia. *"Christological Declarations with Oriental Churches",* Christians Shaping Identity from the Roman Empire to Byzantium: Studies Inspired by Pauline Allen, edited by Geoffrey D. Dunn and Wendy Mayer. Leiden: Brill, 2015, 426-453.
32. Hermans, Joseph. *"The Byzantine view of the Latin West before 1204: Changing ideas and growing fears",* The Latin Empire: Some Contributions. Edited by Krijnie Ciggaar and V.D. van Aalst. Hernen: A.A. Bredius Foundation 1990, 1-19.
33. Heyking, Jonh von. *„The Coercion of Heretics",* Augustine and Modern Law. Edited by Richard Brooks. London: Routledge 2011, 445-480.
34. Kolbaba, Tia. *The Byzantine Lists: Errors of the latins*. Urbana, Ill: University of Illinois Press 2000, xi+230p.
35. Kolbaba, Tia. *Inventing Latin Heretics: Byzantines and the Filioque in the Ninth Century*. Kalamazoo: Medieval Institute Publications 2008, 214p.
36. Kolbaba, Tia. *"Greek and Latin Christians",* The Cambridge History of Christianity. Vol. 3, edited by Thomas F.X. Noble and Julia M.H. Smith. Cambridge: CUP 2008, 213-229.
37. Meyendorff, John. *"Was There an Encounter between East and West at Florence?"*, In Christian Unity: The Council of Ferrara-Florence, 1438/39. Edited by Giuseppe Alberigo. (Leuven: Leuven University Press 1991), 153-175.

38. Meyendorff, John. *Imperial Unity and Christian Divisions: The Church, 450-680 AD*. Crestwood, N.Y.: SVS Press 1989.
39. Papadakis, Aristeides. *The Christian East and the Rise of Papacy: The Church 1071-1453*. Crestwood, New York: SVS Press, 1994, 199-238.
40. Papadakis, Aristeides. *"The Byzantines and the Rise of the Papacy: Points for Reflection, 1204-1453",* Greeks, Latins, and Intellectual History, 1204-1500. Edited by Martin Hinterberger and Chris Schabel. Leuven: Peeters 2011, 19-42.
41. Ramelli, Ilaria. *The Christian Doctrine of Apokatastasis*. A critical Assessment from the New Testament to Eriugena. Leiden: Brill 2013.
42. Schatz, Klaus. *The Papal Primacy: From its Origins to the Present.* Translated from German. Collegeville, Minn.: Liturgical Press 1996.
43. Siecienski, Edward. *"Byzantium and the Papacy from the Fifth to Fifteenth Centuries: The Three-Stage Response"*, Contra Latinos et adversus Graecos: The separation between Rome and Constantinople from the ninth to the fifteenth century. Edited by Bucossi, Alessandra and Anna Calia. Leuven: Peeters 2020, 1-30.
44. Siecienski, Edward. *„(Re)defining the Boundaries of Orthodoxy",* Tradition and the Rule of Faith in the Early Church. Essays in Honor of Joseph Leinhard. (Washington, D.C.: Catholic University of America Press, 2010), 2010, 286-307.
45. Siecienski, Edward. *The Papacy and the Orthodox: Sources and History of a Debate*. Oxford: Oxford University Press, 2017.
46. Siecienski, Edwards. *Filioque: History of a Doctrinal Controversy*. Oxford: OUP 2010.
47. Siecienski, Edward. *Beards, Azymes, and Purgatory: The Other Issues that Divided East and West*. Oxford: OUP 2023.
48. Sopko, Andrew. *"Patristic Methodology in Late Byzantium",* The Making of Byzantine History: Studies Dedicated to Donald M. Nicol. Edited by R. Beaton and C. Roueché. Aldershot: Variorum 1993, 158-168.
49. Ware, Kallistos. *"Constantinople and Rome (858-1439)",* A History of the Christian Doctrine. Edited by Hubert Cunliffe-Jones. Philadelphia: Fortress Press 1980, 201-215.
50. Болотов, Василий. *Лекции По Истории Древней Церквы*. Том IV, М., 2002.
51. Карташев, Антон. *Вселенские Соборы*. Клин, 2004.
52. Мейендорф, Иоанн. *Рим. Константинеполь. Москва*. М., Логос 2005.
53. Суттнер, Эрнст. *Христианство Востока и Запада: В Поисках Зримого Проявления Единства*. Перевод с Немецкого Ольга Величко. М., ББИ, 2004.